

ენერგომბუდსმენმა მესამე კვარტალი შეაჯამ

2014 წლიდან ენერგომბუდსმენის პრიორიტეტული მიმართულებაა მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება, რის გამოც არაერთი აქტივობა და ღონისძიება განხორციელდა სამსახურის მიერ. აქტივობის შედეგების საუკეთესო მაჩვენებელი კი აპარატის სტატისტიკაა.

ენერგომბუდსმენის აპარატში მომართვიანობა სულ უფრო მზარდია. მესამე კვარტალში საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა მიიღო და განიხილა 793 საქმე. კონსულტაცია გაუწია 761 მოქალაქეს, ელექტრონულ ფოსტაზე და ფეისბუკ გვერდზე კი შემოვიდა 103 წერილი.

ჩამოწერილი თანხების რაოდენობა რეკომენდაციების საფუძველზე შეადგენს 86 526 ლარს, ხოლო სემეკის გადაწყვეტილებით 482 796 ლარს. ჯამში ჩამოწერილმა თანხამ გასულ კვარტალში შეადგინა 569 322 ლარი.

მესამე კვარტალში მომხმარებელთა მიერ შემოტანილი საჩივრები შემდეგნაირად გადანაწილდა:

\* ელ.ენერგია – 405

\* წყალმომარაგება – 281

\* ბუნებრივი გაზი – 106

	მესამე კვარტალი	სამი კვარტლის ჯამი
განცხადებების რაოდენობა	793	2087
საჩივრების რაოდენობა ელ.ენერგიაზე	405	1089
საჩივრების რაოდენობა წყალზე	281	635
საჩივრების რაოდენობა ბუნებრივ გაზზე	106	362
რეკომენდაციის საფუძველზე ჩამოწერილი თანხები	86 526	461 561
სემეკის მიერ მიღებული დაგაწყვეტილებებით ჩამოწერილი თანხები	482 796	575 921
სულ ჩამოწერილი თანხების ჯამი	569 322	1 041 329

ენერგომბუსმენი განაგრძობს მომხმარებელთა უფლებების მონიტორინგს და თითოეული ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული იქნება შესაბამისი ზომები, რაც დადებითად აისახება მათ ინტერესებზე.